ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?

ISSN 0132-6015

ნიანგი

სატირისა და იუმორის ჟურნალი

ფასი 60 თეთრი

№3-4
2003

„ნიანგის" წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

136
2003

ძვირფასო ევა, ლეღვის ფოთოლი ვერ ვიშოვე და პამპერსი მოგიტანე.

ზაურ ბოლქვაძე 70 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემო ზაურ!

შენი სიმართლე შენივ ლექსი იყო, ქვეყნის სიმღერა იყავ... მადლი შენი ბრწყინვალე იუმორისა თაობებს გადაეცემა. შენ, შენი გზა გქონდა, გზა მოკლე, მაგრამ გზა - თვალშეუდგამი სინათლისაკენ. კაცო მოსანატრებელო, ჩვენც მალე წამოვალთ, მანდ, ზეციურ საქართველოში. ახლა, გეტყვი ჩვენ რა დღეში ვართ, სამოციანელთა თაობა.

ჩვენ, დავეშვით უკვე თავქვე,
ქალს ვატყუებთ „ვიაგრით“,
უშენობით ცრემლებს აფრქვევს,
შენი ძველი „ნიანგი“.

ჯანსუღ ჩარკვიანი

×××

ვაკეთებ გულუბრყვილო, აღარაფერ
და ტკბილებით სიბერეს:
ხელფასი მეც ისა მაქვს,
მაგრამ თვე ისის დიდი!

ზაურ ბოლქვაძე

მოგვერია დათვი

მოგვერია დათვი,
დავუმახეთ „ბაბა“,
აფხაზეთი „დავთმეთ“,
„დავთმეთ“ სამაჩაბლო!

„დასათმობი“ დაგვრჩა
დანარჩენი ქართლი!
„დავთმობთ“, აბა რა ვქნათ?!-
მოგვერია დათვი!

გევედრებით გულით,
არ მოგვთხოვო, დათვო,
ტერიტორიული
მთლიანობაც დავთმოთ!

დღეს რომ გზა-კვალი გაქვთ მოფენილი
თქვენ, მედროვეებს, ხავერდებით,
დაცარიელდებით სოფელივით,
შვილებს ბორკილებად დაედებით!

გვერდში დაგიდგებათ არავინა,
ქრთამით სასახლეთა ამშენებლებს,
გაგასამართლებენ სხვანაირად!
ერის მძარცველებში გახსენებენ!

ზაურ ბოლქვაძე

დაბადებიდან 70, ხოლო გარდაცვალებიდან ექვსი წელი გავიდა. სიცოცხლის ნახევარზე მეტი „ნიანგში“ გაატარა. მისი დავიწყება შეუძლებელია და არც მოხდება. უკვდავი იყო და ასეთიც დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

„მომენატრება სიკვდილი - წავალ!
მომენატრება სიცოცხლე - მოვალ!“

აი, ჭეშმარიტი იუმორისტი, რომელიც სიკვდილსაც კი ეხუმრებოდა. სიცოცხლეში სიკვდილს ნატრულობდა, ხოლო სიკვდილის მერე - სიცოცხლეს. თაობათა მონაცვლეობას და ჟამთა სვლას თავისი მოაქვს და მიაქვს კიდეც. სწორედ ამისთვისაა ისტორია და არქივი, რათა მომავალ თაობას ერის კუთვნილება შემოუნახოს. ზაურ ბოლქვაძის იუმორი სწორედაც რომ ერის კუთვნილებაა. ამისათვის საკმარისია მოვიშველიოთ ნოდარ დუმბაძის სიტყვები ზაურის წიგნის „ხმალს დავემსგავსოთ ალესილს!“ შესავალიდან.

„...ერთ დღეს ვიღაც ბათუ მელიას ფელეტონი მომიტანა და მთხოვა, წაიკითხეო. წავიკითხე. ეს იყო გონებამახვილობის ფეიერვერკი!..

- ბიჭო, ზაურ, ეს ვიღაც ბათუ მელიაა, არაა დასაკარგავი კაცი და, თუ ძმა ხარ, მომიყვანე-მეთქი!

- მაგი ბათუ მელია, ჩემო ნოდარ, აგერ, უკვე სამი თვეა, ყოველ დილას ცხრა საათზე მოდის და საღამოს ექვს საათამდე ჩემს ოთახში ზისო, - მიპასუხა.

- ახლა სადაა?! - ვკითხე გახარებულმა.

- აგერ ვარო! - მითხრა და გაწითლდა.

ასე დაიბადა 1965 წელს ქართველი იუმორისტი მწერალი ბათუ მელია.“

რაც დრო გადის ზაურისებური იუმორი განუმეორებელია. იგი კარგი კონიაკის მსგავსად კიდევ და კიდევ კარგი ხდება.

ჟანი სიხარულიძე

ზაურ ბოლქვაძისა და ჟანი სიხარულიძის ჩაძახილ-ამოძახილი!

ომის ველზე როცა მიწყდა ბახ-ბუხ-კაკან-ჭახანი,
როცა გმირთა სარბიელზე გამოხოხდნენ გლახანი,
რათა ნახონ, როს შევარდენს ჰკორტნის ყვავის
ბახალი,
რაიც მოსეირეთათვის არის რაღაც ახალი,
რად არ მესმის შენებური ბუხუნი ხმამაღალი?!..
ჩამომძახე აქ, გთხოვ, ლომო, მზის ქვეშ რახან
დგახარ იქ:
-„ნიანგს ძალუძს, კვნესა-ჩხავილს სძლიოს
სიცილ-ხარხარით,
ჩანგალია მისი რადგან ქვემძრომთათვის ლახვარი!“

* * *

ლექსის წერა მიჭირს ცოტა, - გამირბიან რითმები,
მაგრამ შენგან (მწამს!), თუ ვცოდავ, შენდობილი
ვიქნები!
იქ, საფლავში, შენი ძვლები - ქართულ მიწით
გამთბარი
(მჯერა!) სუნთქავს ღვთის განგებით, თუმცა
ფიქრით აქ არის!
მეც... ჯერ აქ ვარ, ფეხზე დგომით თუკი რამეს
ვაკეთებ:
მინდა, ლომო, ვიყო ლომი, მაგრამ მკბენენ აქეთ მე!
ავიკიდე ტვირთი მძიმე, - რედაქტორი მქვია... კი!
მაინც, ძმა, გაძლევ იმედს, არ მოკვდება „ნიანგი“!
მტერი გარბის, ჭირიც მისდევს, ხოლო ლხინი აქ
დგება!
საქართველო, როგორც ქრისტე, მალე მკვდრეთით
აღდგება!

ჩაიწერა მიხეილ ბოლქვაძემ

გახსენება

ხუმრობანარევი გაბრაზება იცოდა, თუ ამას გაბრაზება ერქვა. თანმშრომლებს მშვიდი და გულხელდაკრეფილი ზაური არასოდეს გვინახავს. სხეულში თითქოს ვულკანი ედო, ბობოქრობდა, როცა მის სულში ლექსი იბადებოდა, როცა თავის საამაყო ელისოზე საუბრობდა, როცა „ნიანგის“ ახალ ნომერზე მუშაობდა, და ბობოქრობდა მაშინაც, როცა უვიცი თავისი „ნიჭიერების“ დემონსტრირებას ცდილობდა. ბატონ ზაურის ლექსები, ჩვენს თვალწინ საკუთარი სისხლის თითოული წვეთით იწერებოდა, რომელიც აზვირთებულ ტალღასავით ეხეთქებოდა მკითხველს და პოეზიის ულამაზეს სამყაროში მოაქცევდა.

„მე ვარ დაჭრილი არწივი,
ლექსებით ვიფრენ სიკვდილშიც!
ვარ სისხლისაგან დაცლილი
და ჩემს სტიქონებს სისხლი სდის!“

– იგი ყოველ ახალ ლექსში კვდებოდა და ყოველი ახალი ლექსით იბადებოდა:

ვამაყობ, რომ მის გვერდით 27 წელი ვიმუშავე და დღეს პატივს მივაგებ მის ხსოვნას.

ნანა ჯაჯანაშვილი

ნახ. ნ. ხოდელისა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



თემა ე. ბერაძისა

ნახ. მ. კუსაშვილისა

როგორ შევქმნათ პოლიტიკური პარტია (გასათვალისწინებელი რჩევები)

სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე დიდხანს ვიმუშავე და შესაბამისად, შევიმუშავე კიდეც ჩემეული ღრმა და საფუძვლიანი მიდგომა ასეთი მოვლენისადმი: მაინც, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოთ პოლიტიკური პარტია? ეს, სულაც არაა ძნელი, მაგრამ სანამ პარტიას შექმნიდეთ, საჭიროა სხვადასხვა პოლიტიკურ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. გეგმის სახით წარმოგიდგენთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პარტიის დაკომპლექტება. მაშ, ასე:

ა) პირველ რიგში, პარტიაში პოლიტიკოსები არ გჭირდებათ.

ბ) აუცილებელია ორი ან სამი კუნთმაგარი (სასურველია, ამავდროულად გონებაჩლუნგიც იყოს) პიროვნების გაწევრიანება, რომლებიც საჭიროების დროს ოსტატურად ხმარობენ ხელ-ფეხს.

გ) პოლიტიკური მიზნებისთვის აუცილებელია, პარტიაში უეჭველად იყოს რამდენიმე ფსიქიურად დაავადებული პიროვნება (მერწმუნეთ, ეს თქვენს პარტიას დიდ წარმატებას მოუტანს, თუ არ გჯერათ, საღამოს 9 სთ-ზე ტელევიზორი ჩართეთ).

დ) თუ გინდათ წარმატებას მიაღწიოთ, აუცილებლად უნდა გააწევრიანოთ პარტიაში ერთი ჰომოსექსუალისტი და ერთი იაღოველი.

ასე რომ, თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რჩევებს გაითვალისწინებთ, თქვენი პარტია იქნება ძლიერი პოლიტიკური პარტია, რაც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მოგიტანთ.

გისურვებთ 7%-იანი ბარიერის გადალახვას და 93% ხმების მიღებას!

თქვენი მონა, და შესაბამისად მორჩილიც -

პაატა შამუგია

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

პროექტი

ათასგვარი მითქმა-მოთქმა, შეხლა-შემოხლა, ტყუილ-მართლის ბორიალია საქართველოში ლტოლვილ-დევნილების აფხაზეთში დაბრუნება არდაბრუნების საკითხზე. მავანი მშვიდობიანი გზით, ყვავილებით და „იმერული მგზავრულით“ აპირებს უკან დაბრუნებას, მავანი კბილებს ილესავს და „აბაროტის“ აღებას თოფ-იარაღით აპირებს. ზოგი იმასაც ამბობს: - ისინი თუ თოფს გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთო. ამ კატეგორიას შევახსენებთ, რომ კანფეტების სროლა არ დაავიწყდეთ. არ იქნება ურიგო ბატიბუტის ვარდისფრად დაფერილი ბურთების სროლაც.

ასეა თუ ისეა, ჯერჯერობით, სურვილის მეტი არაფერი გაგვაჩნია, მაგრამ ამ სურვილის ხორცშესხმა შეიძლება თბილისის ზღვაზეც მოხდეს.

გთავაზობთ აფხაზეთის ქალაქების განაშენიანების პროექტს თბილისის ზღვის გარშემო.

ნ.ი.



* * *

ეს ქვეყანა მზიანი
მუდამ ლაჟვარდ-ციანი
მოლივლივე ზღვიანი
იქნებ მითხრათ ვისია?
ხმელეთ-ზურმუხტიანი
ლამაზ მთა-ბარ-ტყიანი
ვეფხისტყაოსნიანი
იყიდება ნისიად!

* * *

სხვა ერები თავს ირჩენენ
შრომით, გარჯით, ძიებით.
ჩვენ კი - სავალუტო ფონდის
რეკომენდაციებით.

* * *

თუნდაც ურტყან თავში კეტი
არ ეთმობა კაბინეტი.

გია სახვაძე



- მთავრობის სახლის დემონტაჟია?
- არა, ჩალით ხურავენ!

ქურდები

ბევრმა მპარა რითმები
(ღმერთო, ყველა დარისხე),
თვით სამოთხეც მომპარეს,
სადაც ვნების არის ხე.
ჩემი თავიც მომპარეს,
ცოდვისაგან მომპალი.
მე მომპარეს ლექსების
ეტლის ცალი ბორბალი.
სული, გული ამაფცქვნეს,
ენა, რწმენა მომპარეს.
ჩემი სული ერთგვარი,
მგონი, გამიორგვარეს.
რაღა დარჩა, გამძარცვეს,
მიაქვთ სულის კარავი.
მხოლოდ... ჩემი სიკვდილი
დარჩათ მოსაპარავი.
დაგრჩათ ჩემი სიკვდილი,
წასართმევი, თქვე კარგნო,
ბარემ ეგეც წაიღეთ,
თქვენი იყოს, შეგარგოთ!

ვ. შ.

საერთაშორისო წყევლის ნიმუშები თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ საფუძვლებზე დაყრდნობით

შენს ოჯახს წაღლიტონ სალაროში შეტანილი დანაზოგები და გამოგიხურონ საწარმო-დაწესებულებების კარები.

შენს ქვეყანას მისცეს ღმერთმა „დიდი“ პოლიტიკოსი, მცირე განათლებით, ცრუპატრიოტი და ხალხის მოძულე.

შენ დაგინიშნონ 14 ლარი პენსია მთელი სიცოცხლის მანძილზე და არ გაღირსონ სხვა შემოსავალი.

შენი ოჯახის წევრები დატოვონ უმუშევრად და ბინა გაგაყიდინონ პურის ფულად.

შენს ქვეყანაში იყოს იმდენი მკვლელი, ხალხის გამტაცებელი, ქურდი, ყაჩაღი, პედერასტი, ბოზი, ნარკომანი და მათხოვარი, რამდენიც საქართველოშია.

არ მოგცეს ღმერთმა იმდენი ფული, რომ ქალაქიდან სოფელში მშობლის დასაფლავებაზე წახვიდე ავტობუსით.

შენი ოჯახის წევრები ვნახე მთელი სიცოცხლის მანძილზე „ძონძების“ მაღაზიაში ნაყიდი ტანსაცმლით მორთულები.

შენი ქვეყნის სიმდიდრე გაზიდონ საზღვარგარეთ ჯართის სახით.

შენი ქვეყნის ბიუჯეტი ვნახე შვეიცარიის ბანკში გადამალული.

შენს ქვეყანას გაუმრავლოს დღეს კორუმპირებულები ისე, როგორც საქართველოშია.

შენი ცოლი და ქალიშვილები გაიქცნენ თურქეთში, ისე როგორც საქართველოდან გარბიან.

შენი ქვეყნის კონსტიტუცია ვნახე შეუსრულებელი, საქართველოს კონსტიტუციასავით.

შენ არ აგცდეს არც ერთი გინება, რასაც ქართველი პარლამენტარები აგინებენ ერთმანეთს.

შენ დაგასაფლაონ მეზობლებში შეგროვებული ფულით.

შენს ქვეყანას ჰქონდეს იმდენი ვალი, რამდენიც საქართველოს აქვს.

თქვენი ქვეყნის ჯარისკაცები ვნახე ქართველი ჯარისკაცებივით დამშეულ-დატილიანებული.

თქვენს ქვეყანაში დამყარდეს ისეთი კაპიტალიზმი, როგორიც საქართველოშია.

შენი ჯანი განადგურდეს ისე, როგორც, საქართველოს ტყეები გაანადგურეს.

თქვენს პარლამენტში იყოს ისეთი დასწრება და წესრიგი როგორიც საქართველოშია.

თქვენს დედაქალაქში იყოს იმდენი მათხოვარი და მაწანწალა, რამდენიც თბილისშია.

თქვენს ქვეყანაში ჩააყენონ რუსის ჯარი სამშვიდობო მისიით.

თქვენი ქვეყნის საზღვრები ვნახე დაცული ისე, როგორც საქართველოს საზღვრებია.

მოისმინა ნიკოლოზ იოსებიძემ



ბ-ნ პრეზიდენტს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის დემოკრატია,
ა ჩვენი თავისუფლება?
ეშვერი სიტყვის მანტია
ქვს ყველა სულელს,
უფლება.

ერა მოთმინება გქონიათ,
ა... ეს არ არის ადვილი,
ითმენთ, გეკუთვნით,
მგონია,
ინესის წიგნში ადგილი.

ჯ.ნ.

სკლეროზი

- საშინელებაა ძმაო, სკლეროზი. აი, გეუბნები: ჩემი სიდედრი არის ინვალიდი, ფეხები არ უმოძრავებს, მარა რად გინდა ძმაო, ისეთი სკლეროზი აქვს, ისეთი, რომ ერთხელ დაავიწყდა, ინვალიდი რომ იყო და ეზოში სირბილი დაიწყო. არა, მართლა საშინელებაა ეს სკლეროზი, რა!

არა, მე იცი რა მადარდებს, ჩემო ძმაო? როცა იქნება, ხო ჩაძაღლდება (ნათელი დაადგეს), აი, მაშინაც თუ დაავიწყდა, რომ მკვდარია, მერე მაქვს ცუდად საქმე... გაძლება არ გინდა? არა, მართლა საშინელებაა ეს სკლეროზი, რა!

-უკაცრავად, რამდენი წლისაა თქვენი სიდედრი?

- ბატონო?

- რამდენი წლისაა-მეთქი თქვენი სიდედრი?

- მოიცა, ჩემო ძმაო, რა შუაშია აქ სიდედრი?

-თქვენ ხომ თქვენს სიდედრზე ლაპარაკობ-დით!

- მოიცა რაა, შენ რა „მეკაიფები", ძმაო! სიდედრი რა შუაშია, როცა პოლიტიკაზე გება-ასებოდი. შენ ვინა გგონივარ, ძმაო? მასხარად მიგდებ, არა?

-არა, იცით რა, მე მართლა...

წადი, შენი... არ დამიწყო „კაიფი"?! არ მომ-შალა ნერვებზე ამ დილაუთენია?! არ, არ... არა, რა შუაში იყო სიდედრი?!

ბ. შ.

ნიანგის" განმარტებითი ლექსიკონი

ნარკომანია - სიკვდილთან მიახლოება.

პიკის საათი - მარშრუტკების გადაბმა-ჩახუ-ტება.

საგადასახადოს ინსპექტორი - მოდის, როგორც მტერი და მიდის, როგორც მეგობარი.

მობილური ტელეფონი - ჯიბის მტვერსასრუტი.

"ეი-ი-ეს თელასი" - ოჯახის ბიუჯეტის დაუ-ძინებელი მტერი.

თანამედროვე ქართული სუფრა - თანა-მოსუფრეთა ქებადიდება, უზომო ტრაბახი, ურთი-ერთპატივისცემა სუფრის დამთავრებამდე.

დეზერტირების ბაზარი - ასი თვალი, ასი ყური, ასი ლარი და შენი სასწორი.

პარლამენტი - წყლისა და ცხვირის სანაყი ადგილი.

ცისფერი ეკრანი - ცისფერი მთები ანუ ქოსა-ტყუილების სარბიელი.

ჟ.ს.

ექსფუნქციონერი

წინათ ყველას თითს უქნევდა,
ახლა ყველას თავს უქნევს,
აღარ იღრინ-იმუქრება,
ვეღარ ანთხევს შხამს უკვე!

ერთ ძაღლთაპირს

მინდა გითხრა ნაღდი სიტყვა,
არ გამიბრაზდები, ვიცი:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!"
შენ ხარ ჩაძაღლების ღირსი!

ზაურ ბოლქვაძე

"ნიანგის" პოლიტიკურ-ეკონომიკური მცირე განმარტებითი ლექსიკონი

სახელმწიფო მივლინება - ფულის კეთებისა და გართობის უებარი საშუალება.

რემონტი - სახელმწიფო ორგანიზაციებში სარფიანი საქმე.

გრანტი - საჩუქარი, რომელიც შეგიძლია გამოიყენო შენი შეხედულებისამებრ, თუნდაც ქვეყნის საზიანოდ.

გრამატიკა - საგანი, რომლის ცოდნა არაა სავალდებულო ზოგიერთი მინისტრების, პარლამენტარების, ტელეწამყვანებისა და ჟურნალისტებისათვის.

პენსია - მცირედი თანხა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იძლევიან.

შემსალარო - მოსახლეობის მიერ შემონახულ-გადანახული ანაბრების მიმთვისებელი.

ილუზია - სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

ლეგენდა - საქართველოში ერთობა.

პარტია - სალაყბო ადგილი; ნიღბების სახელოსნო.

ოპტიმიზმი - მილიონი სამუშაო ადგილი.

პლაგიატი - მიმდინარეობა თანამედროვე მწერლობაში.

პორნოგრაფია - დამაინტრიგებელი რეკლამა.

რეგრესი - სატყეო დეპარტამენტი.

რედაქტორი - ქირურგი კალმით.

რევიზია - რიგგარეშე ხარჯი.

რეკომენდაცია - ოფიციალური პროტექცია.

ტაიფუნი - გაჯავრებული უფროსი.

ლ. ქ.

რუსთაველის აფორიზმების თანამედროვე განმარტებანი

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია - პროცენტით გასესხებული დოლარები.

გრძელი სიტყვა, მოკლედ ითქმის... - გასათვალისწინებულია მობილური ტელეფონით საუბრისას.

ავსა კაცსა, ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა - ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლა.

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი - მოხსნილი მინისტრის მონოლოგი.

სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა - პოპულისტების დევიზი.

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია - მინისტრების და გუბერნატორების შვილების ქორწილზე წარმოთქმული სადღეგრძელო.

გ.ს.

* * *

ზოგიერთისთვის ცხოვრება
ტკბილად აჟღერებს გიტარას,
ცოტას იპარავ? - ციხე, და
სკამი მას, - ვინც ბევრს იპარავს.

ბესიკ ნულაძე



ტელე(დე)ბატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეინტერვიუ

ძვირფასო ტელესეირმაყურებლებო, დღეს ჩვენი სტუმარია უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო, მუდმივმოქმედი სამთავრობო ექსპერიმენტალური სპეციალური მუშა კომისიის თავმჯდომარე, შესანიშნავი წიგნის ავტორი „დემოკრატია და შრომის უფლება“, პროფესორი ნებიერ უმუშია.

ტელეჟუ - ბატონო ნებიერ, დიდი მადლობა მობრძანებისთვის, რას იტყვით თქვენი კომისიის შესახებ?

ნებიერი - მოგახსენებთ, ვაწარმოებთ თეორიულ ბრძოლას, ვამხელთ უმუშევრობას, როგორც სოციალურ ბოროტებას! ვატარებთ ლექცია-მოხსენებებს, მაგალითად „უმუშევრობა ხელს უშლის ადამიანთა დასაქმებას“, „უმუშევრობა უსაქმურობის და უქონლობის წყაროა“, „ძირს უმუშევრობა“ და ა.შ.

ტელეჟუ - რაიმე ქმედით ღონისძიებებს თუ მიმართავთ?

ნებიერი - ვეწევით ფსიქოლოგიურ საქმიანობას - ვაიმედებთ, ვამხნევებთ, ვპირდებით. რასაც შედეგიც მოჰყვება ხოლმე. ლოზუნგს „მილიონი სამუშაო ადგილის შესახებ“ საბოლოოდ იმედგაცრუება მოჰყვა, მაგრამ თავის დროზე მილიონობით ადამიანი გამოიყვანა სტრესული მდგომარეობიდან. გარდა ამისა, სტაჟიანი უმუშევრებისათვის შემოღებული გვაქვს საპატიო სტენდი „მოწინავე უმუშევრები“, ვქმნით რაიონულ, საოლქო, საქალაქო, სასოფლო და ა.შ. უმუშევართა კომიტეტებს, ხოლო უსაქმურებს გააქტიურების მიზნით ურიგებთ ბანქოს ქაღალდებს, ლოტოს კოჭებს და მახათებს, რაც მათ დროის გაყვანაში ეხმარებათ.

ტელეჟუ - ხელფასებზე რას იტყოდით?..

ნებიერი - ვახდენთ შეჩერებული ხელფასების რესტრუქტურიზაციას. ზოგს კი საბოლოოდ ვყინავთ, რის შედეგადაც იყინებიან მევალეებიც, რაც გვეხმარება მათ სეკვესტრირებაში, ადამიანთა რაოდენობის შემცირება, ბუნებრივია, სამუშაო ადგილების ზრდას იწვევს.

ტელეჟუ - ჩვენს ტელემაყურებლებს აინტერესებთ როგორია თქვენი მომავალი გეგმები!

ნებიერი - შევიმუშავეთ უმუშევრობასთან ბრძოლის 40 წლიანი პროგრამა. ჯერჯერობით მის დახვეწაზე ვმუშაობთ. სამუშაო რამდენიმე ქვეკომისიის მიერ მრავალ ეტაპად ხორციელდება.

-ეთერში ზარია, ტელემაყურებელი კითხულობს:

- ბატონო ნებიერ, რამდენი დრო დასჭირდება პროგრამის ამოქმედებას?

ნებიერი - დაახლოებით ხუთი წელი, დარწმუნებული იყავით, რომ მერე არც ერთი უმუშევარი არ გვეყოლება! -

ტელემაყურებელი - კი მაგრამ, თქვენ უმუშევრობის მოსპობა გსურთ თუ უმუშევრების?!

ნებიერი - ყველა დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს...

სინათლე ქრება და წყვდიადი მეფდება...

ალმანზორ თავაძე

თეგმა და ნახ. ჯ. დეისაძისა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

ამერიკის სამშვიდობო მისია ერაყში

ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ გაზაფხული ძალაში შევიდა და რუსთაველის პროსპექტზე „ბირჟავიკების“ დიაპაზონი ერთიორად გაიზარდა, პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთი უდიდესი ბირჟის - „ზემელის“ განყოფილება აცხადებს მსურველთა მიღებას.

ბირჟაზე მიიღებიან 16-დან 25 წლამდე ვაჟები (სასურველია ქალთა სქესის წარმომადგენელნიც), რომელთაც აქვთ თბილისის სხვა და სხვა კუთხეში მოქმედების არა უმცირეს ერთი წლის სტაჟი.

რაიონებიდან ჩამოსულნი სარგებლობენ შეღავათებით. მათთვის სპეციალურად იმუშავებს 4-თვიანი მოსამზადებელი კურსები.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ ბირჟის სამმართველოში, რომელიც მოთავსებულია იქვე მდებარე საჩაიეში და მუშაობს ყოველდღე, შეუსვენებლად.

ზემელის ბირჟის სამმართველო

ნახ. ჯ. ლოდლუასი

- რატომ ჰქვია ამ ძეხვს „დოქტორსკი?“
- შეჭამ თუ არა, ექიმთან უნდა გაიქცე.

წერილი სოფლად

პაპაჩემო! დრო არა მაქვს,
ხასიათზეც არა ვარ. . .
სალამ-ხაბარს არ დავიწყებ
და საქმეზე გადავალ:
სიმამრის ძმა არ მომეშვა
და სიდედრიც მაქეზებს, -
წამოვიწყე შრომის წერა
ჩვენი სოფლის ვაზებზე.
სადისერტაციოდ მინდა,
მალე ხარისხს დავიცავ. . .
ვიცი, ქალაქს ვერ ჩამოხვალ,
შემოთვალე მაინცა:
რა ვაზები ხარობს ჩვენში,
სულ რამდენი ჯიშია,
როდის თესავთ, როდის ამყნობთ,
ფოთლებს როდის იშლიან?
დარი რომელ ჯიშს უხდება,
რომელს აწყენს ავდარი,
ზოგი ხეზე რატომ ადის,
ზოგი დაბლა რად არი?
იმდენ ყურძენს როგორა კრეფთ,
ან სად მიგაქვთ იმდენი?
თეთრი ღვინო როგორ დგება,
როგორ დგება წითელი?
დიდ-დიდ ქვევრებს როგორ
რეცხავთ,
რა ხისგან თლით ბადიმებს?
დაწვრილებით ჩამოთვალე,
არ გამოგრჩეს რაიმე.
კიდევ რაღაც მსურდა მეთქვა,
შეხსენება მინდოდა...
ღვინო ბევრი დამჭირდება
სადისერტაციოდა!

ნოდარ შამანაძე

ჩაკვი-ნ გზაჯვარედინებზე



- თქვენ, მეგობარო! მთვრალი ხართ!
- ორივე მაგ აზრისა ხართ?

რას ერჩით ავტოინსპექტორს?!

ვეხიპიშები ინსპექტორს,
საგუშაგოზე რომ არი.
სანამ კაპოტზე ოქმს მიწერს,
მიდის მხეცური თომარი.

ბიძის, მამიდის, დეიდის,
ანდა ბიცოლას ხსენება...
ბოლოს, ფინალი რა არის,
თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

ამიტომ, წესრიგს თუ არღვევ,
ასეთ დროსა თუ ისეთ დროს,
მოიბოდიშეთ ქემაინც,
რას ეჭიმებით ინსპექტორს?

მაგრამ რა დალევს ამქვეყნად
თავგასულებს და ავ სულებს,
ვინც ებრძვის იმ კაცს, რომელიც
მოვალეობას ასრულებს.

ასეთ კაცს, სადმე რომ შემხვდეს
ცხელ გულზე, ასე, ამხანად,
ხელს კი არ ჩამოვართმევდი,
ჩამოვართმევდი მანქანას!

არგანდო გაბედავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გაზეთის ცხრა პარასკევი

გურამ შარაშიძე

მარტი

„ხანში შესულებმა უყოყმანოდ უნდა ამოიღონ მენიუდან ცხიმოვანი საჭმელი, რადგან ცხიმი იწვევს ორგანიზმში ქოლესტერინის დაგროვებას, რაც, თავის მხრივ, ათეროსკლეროზისა და, მაშასადამე, მიოკარდიუმის ინფარქტის გამომწვევი ფაქტორია“.

აპრილი

„...მართალი არ არის ის, ვინც ხანდაზმულებს ცხიმოვანი საჭმელების მიღებას უკრძალავს. ქოლესტერინი რეაბილიტირებულია“.

მაისი

„აზრი ქოლესტერინის მავნებლობის შესახებ რეაბილიტირებულია! ცხიმი და, მაშასადამე, ქოლესტერინი არის სისხლძარღვთა დაავადების გამომწვევი ფაქტორი“.

ივნისი

„...სირბილი მიოკარდიუმის ინფარქტის წინააღმდეგ ბრძოლის უებარი საშუალებაა!“

ივლისი

„...აზრი ინფარქტის წინააღმდეგ სირბილის გამოყენებისა — საშიში ჰიპოთეზაა! ინფარქტგადატანილებმა და სტენოკარდიიანებმა რომ ეს დაიჯერონ, მაშინ სასწრაფო დახმარების მანქანებს მოუწევთ აქეთ-იქით სირბილი“.

სექტემბერი

„...სახაროზა ყოფილა თურმე სისხლძარღვთა დაავადების გამომწვევი მიზეზი“.

ოქტომბერი

„...შაქარი — შაქარია, სახაროზა იქნება ეს თუ ფრუქტოზა, — ორთავე მავნებელია!“

ნოემბერი

„მოსაზრებებმა სახაროზისა და ფრუქტოზის შესახებ ზოგიერთები ისე დააფრთხეს, რომ მთლად უარი თქვეს შაქრის მიღებაზე, რაც ყოვლად გაუმართლებელია. შაქარი ისეთივე აუცილებელი პროდუქტია ორგანიზმისათვის, როგორც, ვთქვათ, ცხიმი“.

დეკემბერი

„...ახალი წელი კარზეა მომდგარი და ხანში შესულებს ვაფრთხილებთ, თავი შეიკავონ ცხიმიანი საჭმელების მიღებისგან, რადგან სწორედ ცხიმი უწყობს ხელს სისხლძარღვთა კედლებზე ქოლესტერინის დალექვას და, მაშასადამე, ნიადაგს ამზადებს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებისათვის“.

– რა გინდა, სიტყვის პატრონები არიან, თქვეს ოთხზე მოვალთო და მოვიდნენ კიდეც.

ქალთა ლექსიკონი

ქმარი – ვინც საკუთარ ცოლში მხოლოდ ცუდს ამჩნევს, სხვის ცოლში კარგს.

ზოგი ქალი – საქმროს თვალებში უყურებს, ქმარს ხელებში.

სტუმარი – მეხამრიდი კომფლიქტურ ოჯახში.

ხელისმომკიდე – ნეფე-დედოფლის ადიუტანტი.

საქორწინო მოგზაურობა – ბორბლებზე გატარებული თაფლობის თვე.

მიუკარებლობა – მამაკაცის მიზიდვის ხერხი.

სარკე – საკუთარ თავთან არშიყობის საშუალება.

მორჩილება – რითაც ჭკვიანი ქალები ურჩ მამაკაცებს იმორჩილებენ.

იმედგაცრუება – ერთი ნახვით შეყვარების შედეგი.

საერთო სამზარეულო – ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ადგილი.

ჭორი – ჭირი, რომელიც ყველა ეპიდემიაზე სწრაფად ვრცელდება.

დონორი – ზედსიძე, რომელსაც ავი ცოლი და სიდედრი ჰყავს.

კოცნა – ზოგჯერ სიყვარულის გამოხატვის, ზოგჯერ კი უსიყვარულობის შენიღბვის საშუალება.

დამორჩილება – რასაც მაშინ იყენებენ, როცა წინააღმდეგობას აზრი არა აქვს.

ამბიციური ქალი – ვინც ყველა მამაკაცში თაყვანისმცემელს ეძებს და ყველა ქალს მეტოქედ მიიჩნევს.

პრაქტიკოს-რომანტიკოსი – ვინც საქმროს ცოლის თვალებით უცქერის, ქმარს საცოლის.

სიყვარულის სენი – გამაჯანსაღებელი საშუალება, განსაკუთრებით გულცივი მამაკაცებისათვის.

შინაბერობა – შინ ნებივრობის შედეგი.

ალმანზორ თავაძე

სამი კაპიკი

სერგი ერისთავი ცნობილი იყო თავისი ენამახვილობით. ერთხელ მეუღლესთან ერთად ტრამვაიში ასულა. თვითონ დამჯდარა, ცოლს კი ფეხზე დგომა აურჩევია, ძვირფასი მოსასხამი რომ არ დაჭმუჭნოდა. გაქანებულ ტრამვაის ვიღაც ბიჭი შემოხტომია, კონდუქტორთან მისულა და ბილეთი აუღია. ტრამვაი თითქმის ცარიელი ყოფილა, მაგრამ ბიჭი მაინცდამაინც სერგის ცოლთან მისულა ახლოს. ტრამვაის მოძრაობის დროს ვითომ თავს ვერ იკავებდა და ხშირ-ხშირად უკანა ტანზე ეხახუნებოდა. სერგი ყველაფერ ამას თავისი თვალით უყურებდა. როგორც ჩანს ხახუნის სიამოვნებას ბიჭი ძალზე გაუტაცია. ქალს სერგისთვის გადმოუხედავს და გაუღიმია. სერგი წამომდგარა, ბიჭისთვის ყური აუწევია და უთქვამს: „ბიჭუნი, ამ ქალის ხვევნა და ალერსი მე თვეში 30 ათასი მანეთი მიჯდება, შენ სამ კაპიკად გინდა იხმარო?“

უ. ს.

განცხადება

მთავრობის მიერ მიტაცებული ანაბრების დაბრუნება დაიწყება 2004 წლის 1 აპრილიდან.

გთხოვთ, წარმოადგინოთ შემსალაროს წიგნაკები და თან იყოლიოთ დაცვა.

თქვენი ვანოჩხა

ქუჩაში

ერთი ენა ბლუ ეკითხება გამვლელს:
- პროო-პროო-პროო...
- რა კაცი ვარ შენი რა საქმეა! - შეუბღვირა კაცმა.
- ბოო-ბოო-ბოო... - მიუბრუნდა ასევე გამვლელ ქალს.
- ჩემს ბოზობას შენთან რა კავშირი აქვს - გაბრაზდა ქალბატონი.
- პრე-პრეზ... პრე-პრეზ... - ასევე გამვლელ ქალს მიმართავს ჩვენი გმირი.
- არც პრეზერვატივით, არც მის გარეშე, არ გამეკარო შენი ჭირიმე.

როგორც იქნა გამოჩნდა კაცი, რომელმაც ბოლომდე მოუსმინა ამ გაჭირვებულს და აღმოჩნდა, რომ პირველი შემხვედრისთვის უნდოდა ეკითხა: - „პროკურატურას ვერ მიმასწავლიო?“ მეორესთვისაც იგივე - „ბოდიში, ქალბატონო...“. მესამესთვის კი - პრეზიდენტის ოფისი.

ლ. ქ.

ტროლეიბუსში მოსმენილი დიალოგი

- არ ვიცი რა ვქნა, რა კედელს ვეცე?!
- რა მოხდა ქალო, არ იტყვი მართალს?!
- რაღა რა მოხდა? ქმარი მღალატობს!
- ვისთან?
- ვისთან და... ლეილას ქმართან.
- ეჰ, შენ რა გიჭირს, აბა, მე მკითხე, რამხელა ტკივილს ვატარებ „პროსტა!“ მეც ქე მღალატობს ჩემი მეუღლე!
- ვისთან?
- ვისთან და... ლეილას ქმასთან!

პაატა შამუგია

* * *

ამქვეყნად ექიმი სამია:
სიმშვიდე, დიეტა, სიცილი!
სამივე კარგია ძალიან! -
ყველა სენს კურნავს ისინი!

სია

ჟუჟუნა - მოტ.	მაკა-მოსატ.
ესმა - მოსატ.	ეკა-მოტ.
ნათელა - მოტ.	ნუნუ-უარზეა.
მარო - მოსატ.	ფისო-მოსატ.
ანა - მოტ.	ელისო-უარზეა.
მაია - მოსატ.	ნადია-მოტ.
რუსიკო - მოტ.	გულიკო-უარზეა
ნათია - უარზეა.	თეა-მოტ.

არ გეგონოთ ამონაწერი დონ-ჟუანის დღიურიდან. სია შეადგინა რუსთავის „აზოტის“ ბუღალტერმა, ქალბატონმა ჟუჟუნამ, რომელიც აგროვებდა თანხებს სარვამარტო სუფრის გასაშლელად.

გ.ვ.

ნახ. მ. კუხაშვილისა

ზოგიერთ ლამაზმანს

„ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!"
ალ. გორგაშვილი

თბილისის ქუჩაბანდებში,
რესტორნებში და ბარებში,
პოდიუმზე თუ სცენაზე,
თავაწყვეტილი თარეშით,

ტოლს არ უდებენ არავის
თუნდაც იოტის ოდენით;
ჩვენცა გვყავს ლოლო ბრიჯიდა,
ჩვენი გარბო და ლორენი.

პოზა, გრაცია, ღიმილი
და წარმატებაც დროზეა,
ჰაუ, რამდენი მონროა!
ჰაუ, რამდენი ბოზეა!

ა. ალენიძე

გოდორი

„ნიანგი" დაბადებიდანვე მდიდარი ადრესატი გახლდათ. საქართველოს ყველა კუთხიდან ღებულობდა ბარათებს, ფელეტონებს, იუმორისტულ მოთხრობებს და ნახატ-კარიკატურებს. ავტორთა უმრავლესობას დიდი სურვილი ჰქონდა რათა გამოგზავნილი მასალა დაბეჭდილიყო „ნიანგის" ფურცლებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთი აბეზარი ავტორი შეტევაზეც კი გადადიოდა და კატეგორიულად აცხადებდა: „როგორ თუ ჩემი შედევრი დაიწუნეთო". სწორედ ასეთი ნაცოდვილარი „შედევრებისთვის" შემოიღო რედაქციამ რუბრიკები: „გოდორი" და „ნიანგის" კალათა, რომლის პრინციპი გახლდათ გადასაყრელი მასალების დაბეჭდვა „ნიანგის"კომენტარით, რითაც ავტორები ძალზე კმაყოფილნი რჩებოდნენ, აქაოდა ჩემი ლექსი ჟურნალში დაიბეჭდაო. რადგან „ნიანგის" გოდორი უძირო აღმოჩნდა და „შედევრებიც" საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, რედაქცია სისტემსტიურად გააცნობს მკითხველს ყველა დროის გრაფომანებს:

ოცდაათიანი წლები (სტილი დაცულია)

ტფილისი, ბიტული
მე კონდუქტორზე დავსწერე ლექსი
ერთის მაგიერ მოხია ექვსი,
გადაიყოლა ხუთი ფურცელი
და ამეშალა წამსვე მუცელი.

„ნიანგი": - აი, ეს ლექსი მაშინ დაწერილი რომ გქონებოდათ, ძალიან გამოგადგებოდათ.

ზესტაფონი, ტ-ს
ჩავსკუპდით მატარებელში
ჟვანიამ წამოიძინა,
ფხეკა ვქენით ქუთაისში
და მოვნახეთ ჩვენი ბინა.

„ნიანგი": - ყოჩაღ! ამ ლექსის ავტორმა თავის ბინას თუ მაინც მიაგნო.

ბათუმი, იკრობიკო
კრუხი როცა დეიბუდებს
გამოვდივართ მაშინ გარეთ
დავიხურავთ თავზე ზონტიკს
და დილამდე დავგულაობთ.

„ნიანგი": - ნეტავ თქვენ! იგულავეთ, ოღონდ ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩვენსკენ არ შემოიაროთ.

კვალითი, მათასულა
ვოხ, როგორ ვწუხვარ, რომ ავათა ვარ,
და ბალნიცაში ვწევარ ისთევლე,
თორემ ნიანგო მე ასეთ ლექსებს
სულ მოგაყრიდი და მოგაყრიდი...

„ნიანგი": - გაფიცებ მუზას, იწექით და ჯერ ნუ გამოეწერებით საავადმყოფოდან.

გორი, ესიაძე
მიყვარს დოში, მიყვარს ბორში
და ყოველდღე ვარ კინოში,
ნუ დამიშლი გეთაყვანე,
ასეთია ჩემი ხოში.

„ნიანგი": შენი ლექსი ესეიაძევ, ინახება ჩვენს გოდორში.

ბათუმი, აპრიპუტა
პოვეტობა მოვინდომე
რავარიც არის გრიშა,
მაგრამ ჩვენ თავჯდომარემა
თქვენთან არ გამომიშვა.

„ნიანგი": ყოჩაღ, თავჯდომარევ! დიდი მადლობა!
ნუ მოიწყენთ, გაგრძელება იქნება!

შეკრიბა ნანა ჯაჯანაშვილმა.

რუსულ-ქართული ლექსიკონი

ვირუსი - თქვენ რუსი ხართ.
კურიცა - რიცის ტბის კუ.
იაიცა - მე და ცა.
გულიაშ - მოსეირნე კაცი.
ტრაკტორ - დატორილი საჯდომი.
იავოდა - მე ერთი წლის ვარ.
მამალიკა - რაჭული მამალი.
ხალადელნიკ - ხალიანი საქმოსანი.
ჩემოდან - ჩემო დანავ.

მურმან მერკვილიშვილი

საბავშვო ნიანგი

დამშვიდება

ორი კაცი თვითმფრინავით მიფრინავდა პარიზიდან ლონდონში. ერთ-ერთ მათგანს ძალიან ეშინოდა. გვერდით მჯდომმა კი ასე დაამშვიდა:

- დაწყნარდით ბატონო, მანქანით მგზავრობა უფრო საშიშია ვიდრე თვითმფრინავით.

- ამას წინათ, ჩემი მეგობარი მანქანით მგზავრობდა და ზედ თავზე თვითმფრინავი დაეცა.

თორნიკე რუსეიშვილი
რამიშვილის სახ. მე-6 სკ. მე-5 კლ. მოსწავლე

განცხადებები

კონკურსი გრძელდება

საუკეთესო „სანიანგო“ ნაწარმოებისათვის ჟანრების მიხედვით: პროზა, პოეზია, ნახატი-კარიკატურა, თემა, იუმორესკა, ფელეტონი და სატირა.

ხელმოწერაც გრძელდება

ერთი წლით ხელმოწერის ფასია 7,2 ლარი;
6 თვით ხელმოწერის ფასია 3,6 ლარი;
9 თვით ხელმოწერის ფასია 5,4 ლარი;
3 თვით ხელმოწერის ფასია 1,8 ლარი.

რატომ დავიგვიანეთ

ხუსეინას თხოვნით, მირცხულავამ ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა ერაყის ბაღდადში, (იმერეთის ბაღდადი - ჩააბნელა), ხოლო, თბილისს შეზღუდვებით მიაწოდა, რამაც შეფერხება გამოიწვია „ნიანგის“ დროულად გამოცემაში, ამიტომაც, ბოდიშს გიხდით პატივცემულო მკითხველო და შევეცდებით შემდგომში შეუფერხებლად მოგაწოდოთ თქვენი საყვარელი ჟურნალი.

ყველას! ყველას! ყველას!

2003 წლის 3 ივნისს ჟურნალ "ნიანგს" 80 წელი უსრულდება, ხოლო 14 ივლისს ნოდარ დუმბაძის 75 წლის იუბილეა. ამასთან დაკავშირებით რედაქცია თხოვნით მიმართავს ყველას, ვისაც მოეპოვება ჟურნალ "ნიანგთან" და ნოდარ დუმბაძესთან დაკავშირებული გამოუქვეყნებელი მასალები, მოგვაწოდონ, რაზედაც წინასწარ ვიხდით დიდ მადლობას.

მოწოდებული მასალები დაიბეჭდება "ნიანგის" საიუბილეო ნომერში და გაიცემა ჰონორარი.

მთავარი რედაქტორი
ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:
შურთაზ აბაშიძე
ჭაბუა ამირეჯიბი
ვახტანგ დოხნაძე
მალხაზ კუსაშვილი (მსატ. რედაქტ.)
ნოდარ მალაზონია
თენგიზ მირსაშვილი (ჩუბჩიკა)
მერაბ სიხარულიძე
ლოიდ ქარჩავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წიფწიფაძე
რეზო ჭეიშვილი
ნანა ჯაჯანაშვილი (განუ. რედ.)

ჟურნალის გამოცემასა
და რეალიზებას
უზრუნველყოფს
შ.პ.ს. „ლოი“

ჟურნალ „ნიანგისა“ და შ.პ.ს. „ლოის“
მისამართი: 380008, თბილისი,
რუსთაველის გამზირი №42
ტელ: 93-19-42, 93-49-32, 99-55-54.
ტელ/ფაქსი: 99-78-95
ელ. ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან
რეგისტრირებულია:
ქ. თბილისის მთაწმინდის რ-ნის
სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის №4/4-1263
(1907-1908) ინდექსი: 76137

ოფლ და ნახ. ბ. ალექსიძისა
ოუნერქოლეან მეუღლის წერილი
მივიღე, ფაფის მიგზავნის და თან
ქალთა ლოლიაც წაფის რვე
მარგს მოლოსავ

გაყიდულია
ი ყ ი დ ე ბ ა
გაყიდულია
პრივატიზებულია